დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა

(№94/2018, 26.03.2018)

თავი I.

საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია

(№94/2018, 26.03.2018)

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს: *(№94/2018, 26.03.2018)*

ა) პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);
გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება (საფაკულტეტო, სავალდებულო, არჩევითი, თავისუფალი და სხვ.);
დ) სწავლების ენა/ენები;
ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ეთითება შესაბამისი მიმართულებები/დარგები/ქვედარგი, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით);
ზ) სწავლის შედეგები;
თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;
კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი;

მ) დასაქმების სფეროები;

ნ) სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის (მათი არსებობის შემთხვევაში);

ო) დამატებითი ინფორმაცია: საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეთითოს რომელი სემესტრიდან არის რეკომენდებული პროგრამაზე სწავლის დაწყება, რომელ დამატებით პროგრამასთან კომბინირება არის სასურველი და სხვ.

2. საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე უნდა ახლდეს:

ა) სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); ბ) სამაგისტრო ნაშრომების ზოგადი თემატიკა;

გ) შიდა საუნივერსიტეტო მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა;

დ) სამაგისტრო ნაშრომების ზოგადი თემატიკა და შიდა საუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდის პროგრამა და შესაბამისი ლიტერატურა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებას, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ;

ე) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, სტატუსი (აკადემიური თანამდებობა/სამეცნიერო თანამდებობა/მოწვეული ლექტორი/ენების ცენტრის მასწავლებელი; აკადემიური ხარისხი)), ბიოგრაფიული მონაცემები (CV) რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის მიხედვით;

ვ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით (შენობის/შენობების მისამართი, აუდიტორიების, ლაბორატორიების და ა.შ. ჩამონათვალი, შესაბამისი ტექნიკის ჩამონათვალი, საბიბლიოთეკო რესურსების აღწერილობა, ელექტრონული რესურსების აღწერილობა, პროგრამის პროფილის შესაბამისი ელექტრონული პროგრამების აღწერილობა და სხვ.);

ზ) პროგრამის დამტკიცების აქტი.

მუხლი 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. პროგრამის სახელწოდება შესაძლებელია არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას.

2. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

3. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით.

4. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს

ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.
5. სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.
6. მასწავლებლის მომზადების მინიმუმ ერთწლიანი, 60-კრედიტიანი პროგრამა შეიძლება განხორციელდეს როგორც ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში, ასევე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლადაც. კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

მუხლი 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

1. ბაკალავრიატის სწავლების საფეხური მოიცავს 240 კრედიტს. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს 360/300 კრედიტს. *(№94/2018, 26.03.2018)*
2. ძირითად მაპროფილებელ სპეციალობას, რომელშიც ენიჭება სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი უნდა დაეთმოს მინიმუმ 120 კრედიტი, საიდანაც არანაკლებ 10 კრედიტი უნდა დაეთმოს არჩევით სასწავლო კურსებს.
3. საბაკალავრო საფეხურზე დასაშვებია, სტუდენტს ძირითადთან ერთად მიეცეს დამატებითი სპეციალობის დაუფლების შესაძლებლობა. დამატებითი სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტებზე.
4. დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. დამატებითი სპეციალობა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 60 კრედიტს. მიღწეული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები აისახება დიპლომის დანართში.
5. საბაკალავრო პროგრამაზე, ძირითადი სპეციალობის ფარგლებში, შესაძლებელია, აგრეთვე, სტუდენტისათვის სასწავლო კომპონენტების დამატებითი კონცენტრაციების შეთავაზება, რაც აისახება დიპლომის დანართში.
6. საბაკალავრო პროგრამაში კრედიტები უნდა განაწილდეს შემდეგი მოცულობით:

მაპროფილებელი კომპონენტები - არანაკლებ 120 კრედიტი; მაპროფილებელი

კომპონენტების ფარგლებში:

ა) საფაკულტეტო სასწავლო კურსები 30-50 კრედიტი, მათ შორის უცხოური ენა – მინიმუმ 10 კრედიტი;
ბ) საბაკალავრო ნაშრომი 5-15 კრედიტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში; გ) პრაქტიკა 5-15 კრედიტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
დ) პროექტი 5–20 კრედიტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ე) თავისუფალი კრედიტები 10-20 კრედიტი.

7. სამაგისტრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 120 კრედიტის ოდენობით.
8. მოდულის შემცველი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში რეკომენდებულია კრედიტების ამგვარი განაწილება: პროგრამისთვის სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი, სასპეციალიზაციო მოდულისთვის სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი, არჩევითი კურსები – 30 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი.
9. სამაგისტრო ნაშრომის (შემოქმედებითი პროექტის) წილი უნდა იყოს 30 კრედიტი. პროფესიული პროფილის სამაგისტრო პროგრამებში გამონაკლისის სახით შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომს დაეთმოს 20 კრედიტი.
10. პროგრამაში მითითებული უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა.
11. ამ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კრედიტების განაწილების წესი არ ვრცელდება რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებზე. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტების განაწილება დგინდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
12. პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპები.

მუხლი 4. სწავლების ენა

1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე.
2. პროგრამა შეიძლება ასევე განხორციელდეს ქართულ და რომელიმე უცხოურ ენაზე. ამ შემთხვევაში მიეთითება სწავლების ენები.
3. პროგრამაში უნდა მიეთითოს რომელ ენაზე/ენებზე ხორციელდება პროგრამა.
4. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
5. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება.
6. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები მზადდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. უცხოურ ენაზე პროგრამის და სილაბუსების მომზადებას უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. უცხოურ ენაზე მომზადებული პროგრამის და სილაბუსების რედაქტირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

მუხლი 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
2. ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, არსებობდეს ამა თუ იმ

პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად, უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე, სამაგისტრო პროგრამისათვის, თუ რომელ სფეროში/დარგში უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და სხვ.).
3. უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს შესაბამისი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.
4. დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც სპეციალური (დამატებითი) საფაკულტეტო და/ან საუნივერსიტეტო რეგულაციებით უნდა განისაზღვროს.
5. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარდა, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის წერითი/ზეპირი/კომბინირებული გამოცდა სპეციალობაში, რომლის საგამოცდო საკითხები შესაბამის ლიტერატურასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი. ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზედაშვების წინაპირობა შესაძლებელია აგრეთვე იყოს გამოცდა უცხოურ ენაში. ამ შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნეს შესაბამისი ენა და მისი ცოდნის დონე.

მუხლი 6. სწავლის შედეგი

1. სწავლის შედეგი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.
2. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
3. სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა შესაბამისი დარგობრივი მახასიათებელი ქართულად არ არსებობს, რეკომენდებულია ევროპული და აშშ-ს შესაბამისი სააკრედიტაციო სააგენტოებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების/სტანდარტების გამოყენება. სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში შესაძლებელია ევროპისა და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინება, რაც გაზრდის შესაბამისი პროგრამის კონკურენტუნარიანობას როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო ბაზარზე (იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შესაბამისი ეროვნული დარგობრივი მახასიათებელი).
4. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.
5. უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.

მუხლი 7. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლებისა და სწავლის მეთოდების მითითების დროს სასურველია გამოყენებულ იქნას მეთოდები ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. რეკომენდებულია ევროპული და აშშ-ს შესაბამისი სააკრედიტაციო სააგენტოებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების/სტანდარტების გამოყენება, რომლებშიც მითითებულია შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდები.

მუხლი 8. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა უნდა გამოიხატებოდეს დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება (გამონაკლისია კვლევითი კომპონენტი). სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის შეფასება უნდა განხორციელდეს 100–ქულიანი სისტემით.
4. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.
5. სასურველია გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების კომპონენტები და მეთოდები ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. რეკომენდებულია ევროპული და აშშ-ს შესაბამისი სააკრედიტაციო სააგენტოებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების/სტანდარტების გამოყენება, რომლებშიც მითითებულია შესაბამისი შეფასების მეთოდები (იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შესაბამისი ეროვნული დარგობრივი მახასიათებელი).

მუხლი 9. სასწავლო გეგმა, სილაბუსი

1. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: სასწავლო კურსის სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სტუდენტის საათობრივი დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჩათვლით), სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების სემესტრი, ლექტორი/ლექტორები და სხვ. (სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა: დანართი №2).
2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, სტუდენტის დატვირთვის სახეები.
3. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს.
4. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის

ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას.
5. სასწავლო გეგმას თან უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.
6. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორი/ლექტორები, სასწავლო კურსის კოდი, სასწავლოკურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლოკურსის შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი ლიტერატურა (დასამუშავებელი ლიტერატურის საერთო მოცულობის მითითებით), დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები (სასწავლო კურსის სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმა: დანართი №3).
7. სასწავლო კურსისთვის კოდის მინიჭება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: პირველ ადგილას იწერება ფაკულტეტის აბრევიატურა, მეორე ადგილას – სწავლების საფეხური, მესამე ადგილას საგანმანათლებლო პროგრამის/ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ნომერი, ხოლო მეოთხე ადგილას – სასწავლო კურსის ნომერი სასწავლო გეგმის მიხედვით. ფაკულტეტების აბრევიატურებია: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - ENS, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - HS, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - SPS, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - PES, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - EB, იურიდიული ფაკულტეტი - LAW, მედიცინის ფაკულტეტი - MED. სწავლების საფეხურების აბრევიატურებია: ბაკალავრიატი - B, მაგისტრატურა - M, ერთსაფეხურიანი - U. საგანმანათლებლო პროგრამის/ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ნომერი განისაზღვრება დეკანის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. სასწავლო კურსს კოდს ანიჭებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 10. ადამიანური რესურსი

1. პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, სამეცნიერო პერსონალი, მასწავლებელი, ან მოწვეული პერსონალი.
2. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) სპეციალური ფორმის მიხედვით და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.
3. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული

გამოცდილებით.
4. უცხოენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შემთხვევაში დამატებით დგინდება უცხოური ენის ცოდნა.
5. უცხოური ენის ცოდნა შეიძლება დადგინდეს შემდეგი გზით: უცხოური ენის არანაკლებ C1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატი, ან უცხოეთის და/ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია, ან გრძელვადიანი მივლინება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (არანაკლებ ერთი სასწავლო სემესტრისა), ან სასწავლო კურსის/საჯარო ლექციების წაკითხვა უცხოეთის და/ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან საჯარო ლექციის წაკითხვა, მოხსენების გაკეთება უცხოურ ენაზე და სხვ.

მუხლი 11. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი

1. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან გამონაკლისი წესით - საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის - ასისტენტ-პროფესორი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. შესაბამისი ოქმი ინახება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. (26.03.2019, №33/2019)
2. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას ასევე უნდა უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმაც, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.
3. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.
4. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
5. პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/კოორდინატორს ევალება: მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია პროგრამის და მისი განხორციელების

თავისებურებების შესახებ, გაუწიოს მათ კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ.

6. სწავლების ერთ საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას. გადაწყვეტილება გამონაკლისის შესახებ შეიძლება მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 12. უცხოენოვანი პროგრამები

უცხოენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროგრამას უნდა დაერთოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

მუხლი 13. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. აღნიშნულ ინფორმაციას ამზადებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.

მუხლი 14. პარტნიორი დაწესებულებები და ერთობლივი პროგრამები

1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

2. ერთობლივი პროგრამა წარმოადგენს ერთ ან მეტ პარტნიორ დაწესებულებასთან (თუ ამ უკანასკნელს აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლებამოსილება) თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებულ საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/სამაგისტრო/ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამას, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: *(№94/2018, 26.03.2018)*

ა) პროგრამის აღწერილობა და ყველა პარტნიორი დაწესებულების სია, რომელიც შეთანხმებულია ყოველ პარტნიორ დაწესებულებასთან;

ბ) კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი თითოეული პარტნიორი დაწესებულების მიერ ან ერთობლივი ხარისხი – პარტნიორი დაწესებულებების მიერ.

3. ერთობლივი პროგრამის განხორციელებისას რეკომენდებულია:

ა) სტუდენტმა ისწავლოს და/ან განახორციელოს კვლევა პარტნიორ დაწესებულებაში;
ბ) ხელი შეეწყოს უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ასწავლოს და განახორციელოს კვლევა პარტნიორ დაწესებულებაში;

გ) ხელი შეეწყოს პარტნიორი დაწესებულების აკადემიურ და/ან სამეცნიერო პერსონალს ასწავლოს და განახორციელოს კვლევა უნივერსიტეტში;
დ) პარტნიორი დაწესებულების შესაბამისი პერსონალი იყოს საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. *(№94/2018, 26.03.2018)*

4. საერთაშორისო ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს ერთობლივი პროგრამა, რომლის ერთი პარტნიორი მაინც არის უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი.
5. თსუ აკადემიური საბჭოს მიერ ერთობლივი პროგრამის დამტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენს თანხმობის წერილი ყოველი პარტნიორი დაწესებულებიდან (ერთობლივი პროგრამის განხორციელების შესახებ თანხმობის წერილის სარეკომენდაციო ფორმა: დანართი №4), პარტნიორების სრული სია და თითოეულ მათგანთან დადებული ხელშეკრულება.

მუხლი 15. პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება

1. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ.
2. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის/პროგრამების აკრედიტაციის ვადით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების კომიტეტი (შემდგომში: კომიტეტი), რომლის შემადგენლობაში შედიან:
ა) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი (მათი არსებობის შემთხვევაში);
ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
გ) უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი/წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში), რომელიც იმავდროულად არ იკავებს თსუ აკადემიურ თანამდებობას;
დ) სტუდენტი/სტუდენტები;
ე) კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;
ვ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში როგორც პროფილური, ისე სხვა დამსაქმებელი/დამსაქმებლები (მხოლოდ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის/აფხაზურენოვანთათვის შემთხვევაში დამსაქმებლების ნაცვლად კომიტეტის შემადგენლობაში შესაძლებელია შეყვანილ იქნეს იმ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რომლებზეც აგრძელებენ სწავლას ზემოხსენებული პროგრამის კურსდამთავრებულები); (*№34/2018, 05.02.2018)*
ზ) პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);

თ) შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
ი) უცხოელი სპეციალისტი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
კ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; ლ) თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
მ) სხვა წევრი/წევრები.

3. უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში კომიტეტის შემადგენლობაში უცხოელი სპეციალისტის ყოფნა სავალდებულოა.

4. კომიტეტის საქმიანობას ადმინისტრაციული მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა.

5. კომიტეტის წევრად სასურველია შერჩეულ იქნას აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ის წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ ევროპისა და აშშ ქვეყნებში სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

6. კომიტეტის წევრად შეიძლება შერჩეულ იქნეს სტუდენტი, რომლის GPA აღემატება 3.0-ს. (*№34/2018, 05.02.2018)*

7. კომიტეტი იქმნება ერთი მიმართულების/დარგის/ქვედარგის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. შესაძლებელია შეიქმნას ერთზე მეტი კომიტეტი ერთი მიმართულების/დარგის/ქვედარგის ფარგლებში უცხოენოვანი და/ან უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების არსებობის შემთხვევაში.

8. კომიტეტის თავმჯდომარე აირჩევა კომიტეტის სხდომაზე, კომიტეტის წევრების მიერ პროგრამის/პროგრამების ხელმძღვანელების/კოორდინატორებისგან. კომიტეტის სხდომის ოქმი ინახება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

9. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

10. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას: შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

11. პროგრამის პირველად სამუშაო ვერსიას შეიმუშავებს შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური პერსონალი. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი. აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა კომიტეტს.

12. პროგრამას კომიტეტს განსახილველად წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი. იგი უზრუნველყოფს კომიტეტის წევრების არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში ისე, რომ შეიქმნას ხარისხიანი, შრომის

ბაზრის ინტერესებზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამა.
13. კომიტეტის წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში კომიტეტის წევრები იკრიბებიან მინიმუმ ორჯერ.
14. კომიტეტის თითოეული სხდომის ოქმი ინახება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
15. ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიურ პერსონალთან შეჯერებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
16. კომიტეტის წევრობა არ არის ანაზღაურებადი სამუშაო.

მუხლი 16. პროგრამის განხორციელების შეფასება, განახლება და განვითარება

1. პროგრამის განხორციელების პროცესს აფასებს ფაკულტეტისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი წესის მიხედვით.
2. პროგრამის განახლება/პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის, ან პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ინიციატივით, ან კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე.
3. კომიტეტი იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის, ფაკულტეტის დეკანის ან თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით.
4. კომიტეტის თავმჯდომარე გააცნობს კომიტეტის წევრებს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს.
5. კომიტეტის წევრები განიხილავენ პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს, გამოთქვამენ მოსაზრებებს და შეიმუშავებენ წინადადებებს/რეკომენდაციებს პროგრამის განახლებისა და განვითარების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).
6. კომიტეტის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების/რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამის განახლების, მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით შეიძლება მომზადდეს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები.

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

1. პროგრამის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
2. უცხოენოვანი პროგრამებისთვის უნდა არსებობდეს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი უცხოურ ენაზე/ენებზე.
3. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მოცემული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია: პროგრამის სახელწოდება, პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლების ენა/ენები,

პროგრამის მიზანი, დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, დასაქმების სფეროები, სწავლის საფასური, ვებგვერდის მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელფოსტა), დამატებითი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში).
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი უნდა განახლდეს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.
5. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებაზე.

თავი II.

საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა

(№94/2018, 26.03.2018)

მუხლი 18. პროგრამის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო ამ პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 19. ფაკულტეტის საბჭოს თანხმობა

ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და თანხმობის შემთხვევაში, გადაუგზავნის მას უნივერსიტეტისხარისხის უზრუნველყოფისსამსახურს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე წარსადგენად.

მუხლი 20. პროგრამის დამტკიცება

პროგრამას ამტკიცებს თსუ აკადემიური საბჭო.

მუხლი 21. პროგრამაში ცვლილების შეტანა

პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.